

გახდი ALDA-ს მოხალისე პროექტით „EU LIVES- მოხალისეობის ინიცირება ევროპასა და მის შემოგარენში“

პროექტი "EU LIVES" გაძლევთ შესაძლებლობას გახდეთ მოხალისე! თუ თქვენ ხართ ახალგაზრდა, ენთუზიაზმით სავსე, გსურთ მიიღოთ გამოცდილება საზღვარგარეთ და დაინტერესებული ხართ ALDA-ს საქმიანობით, არ გაუშვათ ეს შესაძლებლობა ხელიდან: ეს თქვენი შანსია, შემოიტანეთ განაცხადი და მოხალისე ერთი წლით.

პროექტის მიზანია მობილობის გზით ხელი შეუწყოს ახალგაზრდების პიროვნული შესაძლებლობების ზრდას: ერთის მხრივ, მათი პროფესიული მომავლის და მეორეს მხრივ, მათი, როგორც ადგილობრივი თემის მოქალაქეების და უფრო მეტიც, როგორც ევროპული საზოგადოების როლის გათვალისწინებით. პროექტი ხორციელდება იტალიაში, ასევე სხვა ევროპის ქვეყნებში, სადაც მდებარეობს [ALDA-ს ოფისები](#), კერძოდ საფრანგეთში (სტრასბურგი), ბელგიაში (ბრიუსელი) და ჩრდილოეთ მაკედონიაში (სკოპიე).

შეიტანეთ განაცხადი 10 თებერვლამდე და გამოიყენეთ თქვენი გამოცდილება.

ALDA-ში მოხალისეობას უამრავი სარგებელი მოაქვს: თქვენ გახდებით აქტიური მოქალაქე საზოგადოებისთვის, შეიძენთ ახალ უნარებს, საკუთარ თავს გამოცდით და ჩაერთვებით მუშაობის პროცესში.

აქტივობები:

- კვლევითი საქმიანობის დაფინანსება;
- ევროპული და საერთაშორისო კონკურსების კვლევა და მონიტორინგი;
- პროექტის შემუშავება;
- პროექტის მენეჯმენტის საკითხებზე მხარდაჭერა;
- რეპორტების, სტატიების, სოციალური მედიის პოსტების შედგენა;
- ადგილობრივი ქსელების გაძლიერება;
- დიალოგი და ურთიერთობა ევროპულ ინსტიტუტებთან.

შეგიძლიათ მიმართოთ ALDA-ს ერთ-ერთ ოფისს:

- ბრიუსელი: 4 ადამიანი;
- სტრასბურგი: 3 ადამიანი;
- სკოპიე: 2 ადამიანი.

იმისათვის, რომ შემოიტანოთ განაცხადი, თქვენ უნდა იყოთ 18-დან 28 წლამდე, ცხოვრობდეთ იტალიაში და გქონდეთ გააქტიურებული SPID ანგარიში. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა არის 2023 წლის 10 თებერვალი.

სასარგებლო ბმულები:

პროექტის "EU LIVES" შესახებ ინფორმაცია [EU LIVES project description](#)

[კონკურსი მოხალისის შესარჩევად](#)

[განაცხადის წარდგენა](#)